ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1194734

ნომერი: AR1207085

თარიღი : 25.03.2014

გაცემის თარიღი : 28.03.2014

გაცნობის თარიღი : 28.03.2014

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ვაჟა-ფშაველა , N 83/11 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მარინე ფანიაშვილი პ/ნ 01030006947
- თბილისი ივ.ჯავახიშვილის ქ. N 114

ორგანიზაცია:
- შპს "ედემი" კოდი: 204918376

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

თქვენს მიერ დაგეგმილი სამუშაოები (არსებულ შენულ შენობაზე მიშენება) ცდება I კლასის მახასიათებელს და საჭიროებს მშენებლობის ნებართვის გაცემას. "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 37-ე მუხლის თანახმად, მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამ სტადიად (გარდა განსაზღვრული გამონაკლისებისა). ამათგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი წარმოება. მხოლოდ წინა სტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდეგი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება. ვინაიდან სარეკონსტრუქციო სამუშაოები არ მოიცავს განაშენიანების ფართობის ზრდას, საკითხი უნდა დააყენოთ II (არქიტექტურული პროექტის შეთანხმება) და III (მშენებლობის ნებართვის გაცემა) სტადიების კუთხით. ამისათვის უნდა დაარეგისტრიროთ ახალი განცხადება და აირჩიოთ შემდეგი სახის ნომენკლატურა: "მშენებლობის ნებართვა" - სწორად უნდა განსაზღვროთ სარეკონსტრუქციო შენობის ფუნქციური დანიშნულება - შენობების კლასის განსაზღვრის კალკულატორში ზუსტად უნდა მიუთითოთ საპროექტო ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის პარამეტრები (შენობის კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი კვ.მ.-ში, შენობის მაქსიმალური მალის სიგრძე, შენობის სიმაღლე მიწის ზედაპირიდან ზემოთ, შენობის ჩაღრმავება მიწის ზედაპირიდან ქვემოთ და შენობის საძირკვლის ტიპი) - ქმედებები "რეკონსტრუქცია" - ქვექმედება "მიშენება–დაშნება".

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.